შინაპატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

გიგა ცხადაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წყაროების შესაბამისად.

გიგა ცხადაძე, გ. ცხადაძე

25.01.2025

აბსტრაქტი

სისხლის სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასჯელების საკითხს. 2017 წელს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რის შემდეგაც სასჯელებს დაემატა ახალი სახე შინაპატიმრობა. იმ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე პრაქტიკაში შინაპატიმრობის გამოყენებისას წარმოიშვება გარკვეული პრობლემები, რომლების მოგვარება ხელს შეუწყობს სასჯელის ეფექტურად აღსრულებას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შევეხოთ ამ პრობლებმებს და შევიმუშაოთ მათი გადაჭრის გზები, რაც მოცემული ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

ნაშრომის მიმდინარეობისას შევეხეთ შინაპატიმრობის ისტორიულ მიმოხილვას, დავახასიათეთ სასჯელის ეს სახე, გავიგეთ მისი ცნება და ფორმები, გავაანაალიზეთ მასთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი ეფექტი, რის შემდეგაც მკითხველს ზოგადი წარმოდგენა შეექმნა აღნიშნულ სასჯელთან დაკავშირებით.

უმნიშვნელოვანესი იყო საკანონმდებლო ხარვეზის მიმოხილვა, რომელიც არსებობს შინაპატიმრობის დანიშვნასთან დაკავშირებით, როდესაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით შინაპატიმრობა ინიშნება ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ხოლო სსკ-ის 267-ე მუხლი არის მძიმე დანაშაული და იძლევა შინაპატიმრობის დანიშვნის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში ერთ საკითხთან დაკავშირებით შეუთანხმებელი ჩანაწერი არსებობს. შესაბამისად კვლევის შედეგად გამოიკვეთა,რომ ცვლილება უნდა შევიდეს სსკ-ის 267-ე მუხლში და აღნიშნული მუხლის სასჯელების ჩამონათვალიდან უნდა ამოღებულ იქნეს შინაპატიმრობა.

წინამდებარე ნაშრომში კვლევისას გაეცა პასუხი კითხვას, უნდა არსებობდეს თუ არა განსხვავებული მიდგომა შინაპატიმრობის ვადასთან დაკავშირებით სრულწლოვნების და არასრულწლოვნების შემთხვევაში. დადებითად შეფასდა ის გარემოება, რომ სსკ-ით შინაპატიმრობა ინიშნება 6 თვიდან 2 წლამდე და არასრულწლოვნის შემთხვევაში მაქსიმალური ვადა 1 წელია. თუმცა განსხვავებული მიდგომა უნდა არსებობდეს მინიმალურ ზღვართან დაკავშირებითაც. დაუშვებელია არასრულწლოვანს ისე მოექცე,

როგორც სრულწლოვანს. ამიტომ, აუცილებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დამკვიდრდეს განსხვავებული მინიმალური ვადა.

წინამდებარე ნაშრომში საუბარი იყო შინაპატიმრობის აღსრულების პერიოდში წარმოშობილ პრობლემებთან დაკავშირებით, რა დროსაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ელექტრონული ზედამხედველობა წინ გადადგმული ნაბიჯია ამ სასჯელის აღსრულების პროცესში. განხილული იყო ის საკითხი, მთიან ადგილებში, სადაც არსებობს კავშირის პრობლება და ფაქტობრივად, შეუძლებელია ელექტროსამაჯურის გამოყენება.

ასევე ყურადღება გამახვილებული იყო ელექტრონულ ზედამხედველობასთან დაკავშირებულ ფინანსურ ხარჯებზე. განხილული ლიტერატურიდან და იურისტთა ნააზრევიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ელექტროსამაჯურის მთლიანი ღირებულის 5000 ლარის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებისგან, სოციალურად დაუცველ პირებთან ერთად, ასევე აუცილებლად უნდა გათავისუფლდნენ არასრულწლოვნები, რადგან მათ არ აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი ხშირ შემთხვევაში და აღნიშნული თანხის გადახდა უწევთ მათ მშობლებს.

საძიებო სიტყვები:შინაპატიმრობა, აღკვეთის ღონისძიება, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, ელექტრონული ზედამხედველობა, ბრალდებულის უფლებები, პრობაციის ოფიცერი, პენიტენციური დაწესებულება, სასჯელის ღონისძიება.

ABSTRAQT

In criminal law, an important place is given to the issue of punishments. In 2017, a legislative change was made in the civil code of georgia, after which a new form of house arrest was added to the punishments. From that period to the present, certain problems have arisen in the practice of house arrest, the solution of which will contribute to the effective execution of the sentence. Therefore, it is necessary to address these problems and develop ways to solve them, which is the main goal of this topic.

In the course of the work, we touched on the historical overview of house arrest, characterized this type of punishment, understood its concept and forms, analyzed the positive and negative effects related to it, after which the reader had a general idea about the said punishment.

The most important was the review of the legislative gap that exists in connection with the appointment of house arrest, when under the Code of Juvenile Justice, house arrest is prescribed in the case of committing a less serious crime, while Article 267 of the civil Code of Georgia, is a serious crime and allows for the appointment of house arrest. In this case, there is a non-agreed record on one issue. Accordingly, as a result of the research, it was revealed that an amendment should be made in Article 267 of the Civil Code of Georgia and house arrest should be removed from the list of punishments.

In the present paper, the research answered the question whether there should be a different approach to the term of house arrest in the case of adults and minors. The fact that under the Civil Code, house arrest is prescribed from 6 months to 2 years, and in the case of a minor, the maximum term is 1 year. However, there should be a different approach regarding the minimum threshold. It is not allowed to treat a minor as an adult. Therefore, it is necessary to establish a different minimum term in the Juvenile Justice Code and make it 3 months instead of 6 months.

In the present paper, we talked about the problems that arose during the execution of house arrest, during which the research revealed that electronic supervision is a step forward in the process of execution of this sentence. The issue was discussed, in mountainous areas, where there is a

problem of connection and in fact, it is impossible to use an electric bracelet, whether the probation officer's visits to the residential house do not lead to interference in the private life of the convict. At which time it became clear that in this case it is not necessary to interfere in personal life, because the interest of enforcing house arrest outweighs the fundamental right of a person.

Attention was also focused on the financial costs associated with electronic surveillance. Based on the reviewed literature and the opinion of lawyers, we can conclude that minors, along with socially vulnerable persons, must be exempted from placing the total value of the electric bracelet in a deposit account of 5000 GEL, because they do not have independent income in many cases and have to pay the mentioned amount to their parents

მადლობა

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომ მომცა შესაძლებლობა წარვადგინო სამაგისტრო ნაშრომი და მოვიპოვო მაგისტრის ხარისხი. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემ ხელძღვანელს, ბატონ ანტონ ქელბაქიანს, ნაშრომზე მუშაობის პერიოდში გამოჩენილი გულისხმიერებისთვის და დათმობილი დროის გამო, უამრავი შენიშვნისა და რეკომენდაციის მოცემისთვის, რაც საბოლოო ჯამში დამეხმარა შედეგის მიღწევაში.